

საარჩევნო სისტემების მიმოხილვა



USAID
ამერიკელი ხალხისთვის



საქართველოს
პარლამენტის
იურისტთა
ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საარჩევნო სისტემების მიმოხილვა

თბილისი
2020

კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ. გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის შეხედულებებს.

კვლევის ხელმძღვანელი: ვახუშტი მენაბდე

კვლევის ავტორი: თამთა წვერაიძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ.კახიძის ქ. N15, თბილისი, საქართველო
+995 322 936101
www.gyla.ge

სარჩევი:

შესავალი.....	5
საარჩევნო სისტემების კლასიფიკაცია.....	5
მაჟორიტარული საარჩევნო სისტემები.....	7
პროპორციული საარჩევნო სისტემები.....	9
„სხვა“ საარჩევნო სისტემები.....	11
შერეული საარჩევნო სისტემები.....	13
დასკვნა.....	14

შესავალი

საარჩევნო სისტემა სახელმწიფოების ინდივიდუალურ საჭიროებებს უნდა მოერგოს. ის რეპრეზენტაციის სახესა და ხარისხს, შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკურ ღღის წესრიგსაც განსაზღვრავს. წლების განმავლობაში მიმდინარე ცვლილებები საქართველოში პარლამენტის არჩევის წესს რამდენჯერმე შეეხო. ეს საკითხი მუდმივად წარმოადგენდა დავის საგანს. 2019 წლის ნოემბერში ჩავარდნილმა საკონსტიტუციო რეფორმამ, რომელსაც ქვეყანა სრულად პროპორციულ სისტემაზე უნდა გადაეყვანა, კამათი კიდევ უფრო გაამძაფრა. ამჯერად წინ ახალმა პრობლემამ - საარჩევნო მოდელების ერთმანეთისგან გამიჯვნამ წამოიწია. წინამდებარე დოკუმენტი ამ საკითხს მიმოიხილავს და ცდილობს, ჩამოაყალიბოს კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც განასხვავებენ საარჩევნო სისტემების მაჟორიტარულ, პროპორციულ და სხვა ოჯახებს.

საარჩევნო სისტემების კლასიფიკაცია

საარჩევნო სისტემა განსაზღვრავს იმ წესებს, რომელთა მეშვეობითაც ხმები მანდატებში გარდაისახება. სახელმწიფოები, სიდიდის, მოსახლეობის რაოდენობის, ტერიტორიული მოწყობისა და ამომრჩეველთა საჭიროებების გათვალისწინებით, სხვადასხვა არჩევანს აკეთებენ. თუმცა, დემოკრატიულ სახელმწიფოებში გავრცელებულია მხოლოდ 12 ძირითადი საარჩევნო მოდელი,¹ რომლებიც სამ სისტემას - პროპორციულ, მაჟორიტარულ და სხვა ოჯახებს განეკუთვნებიან. კლასიფიკაციას კონკრეტული პრინციპები უღევს საფუძვლად, თუმცა, მაინც არსებობს განსხვავებული მიდგომები მათი დიფერენცირების კრიტერიუმებისადმი.

საარჩევნო სისტემათა ერთმანეთისგან განსასხვავებლად, როგორც წესი, ორნაირ მეთოდს იყენებენ. პირველ შემთხვევაში მიდგომა ძალიან ზოგადია და სრულად არჩევნების შედეგებს ემყარება. კონკრეტული საარჩევნო სისტემისადმი მიკუთვნებულობას განსაზღვრავს ის, თუ რა პრინციპი უღევს საფუძვლად ამომრჩევლის ხმების მანდატებში გარდასახვას.²

ალტერნატიული მეთოდი უფრო დეტალურია. მას ავტორი დაგლას რეი³ რამდენიმე კომპონენტად ყოფს და იმ მექანიზმს აფასებს, რომლითაც ხმები მანდატებში

¹ Reynolds A., Reilly B. and Ellis A., Electoral System Design: The New International IDEA Handbook, Stockholm, Sweden, 2005, Chapter 3, §63.

² Leduc L., Niemi R. and Norris P., Comparing Democracies: Elections and Voting in 21st Century, Thousand Oaks, CA., USA, 2010, Chapter 2, pp. 25.

³ ამერიკელი პოლიტოლოგი, იელის უნივერსიტეტის პოლიტიკის მენეჯერებისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის პროფესორი.

გარდაისახება, რაც ზუსტ კლასიფიკაციას იძლევა.⁴ შედეგებზე ფოკუსირებისას, მნიშვნელოვანია, დადგინდეს, რამდენად არის ამომრჩევლის განწყობა პროპორციულად წარმოდგენილი არჩეულ ორგანოში.⁵ თუ პარტიის მიერ გაყვანილი დეპუტატების რაოდენობა ახლოსაა იმ მხარდაჭერასთან, რომელიც მან არჩევნებზე მიიღო, ხოლო ე.წ. დაკარგული ხმები⁶ ცოტაა, შედეგები პროპორციულია.⁷ ამის საპირისპიროდ, არაპროპორციული სისტემა უზრუნველყოფს მხოლოდ ერთი პარტიის მიერ ხმათა ისეთი უმრავლესობის მოპოვებას, რომელიც აუცილებელია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად (მაგალითად, მთავრობის ფორმირებისთვის).⁸ ასეთ დროს მაღალია დაკარგული ხმების ოდენობა.⁹

ალტერნატიული კლასიფიკაცია¹⁰ საფუძვლად უდევს ძირითად ტიპოლოგიებს. ის საარჩევნო სისტემებს ერთმანეთისგან სამი კომპონენტით განასხვავებს - (1) საარჩევნო ფორმულა, (2) ოლქის და (3) ბიულეტენის სტრუქტურა. ოლქის სტრუქტურა განსაზღვრავს მის გეოგრაფიულ მოწყობასა და სიდიდეს, ანუ ერთ ოლქზე არსებული მანდატების ოდენობას, ბიულეტენის სტრუქტურა - საარჩევნო სუბიექტების სახეს,¹¹ ხმების გამოვლენის ფორმასა¹² და ამომრჩევლის ხმების რაოდენობას,¹³ ხოლო საარჩევნო ფორმულა - ხმების მანდატებში გარდასახვის წესს.¹⁴

პოლიტიკის მეცნიერთა უმრავლესობა თანხმდება, რომ სამი კომპონენტიდან ოლქის სტრუქტურა ყველაზე დიდ გავლენას ახდენს სისტემის კლასიფიკაციაზე - რაც უფრო მეტი მანდატია ოლქზე, მით უფრო მეტად აისახება შედეგი პროპორციულობის ხარისხზე.¹⁵ მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში საარჩევნო სისტემათა კლასიფიკაციისას უპირატესობა ენიჭება საარჩევნო ფორმულას.¹⁶

⁴ Reeve A. and Ware A., Electoral Systems: A Comparative and Theoretical Introduction. New York, NY., USA, 2006, Chapter 3, pp. 64.

⁵ Leduc L., Niemi R. and Norris P., დასახელებული ნაშრომი, Chapter 2, pp. 25.

⁶ საარჩევნო სისტემებში ე.წ. დაკარგულ ხმად იწოდება წაგებული კანდიდატისთვის მიცემული ხმებისმიერი ხმა ან გამარჯვებისთვის არასაჭირო (ზედმეტი) ხმა.

⁷ Leduc L., Niemi R. and Norris P., დასახელებული ნაშრომი, Chapter 2, pp. 29.

⁸ იქვე.

⁹ იქვე.

¹⁰ იქვე.

¹¹ საარჩევნო სუბიექტი: პარტია ან კანდიდატი.

¹² ბიულეტენი, საიდანაც აირჩევა მხოლოდ ერთი კანდიდატი, ან მოცემული კანდიდატების პრეფერენცია ხორციელდება.

¹³ ერთი ხმის უფლება; იმდენივე ხმის უფლება, რამდენი მანდატიცაა ოლქზე; იმაზე ნაკლები რამდენიმე ხმის უფლება, რამდენი მანდატიცაა ოლქზე.

¹⁴ Leduc L., Niemi R. and Norris P., დასახელებული ნაშრომი, Chapter 2, pp. 26.

¹⁵ იქვე, ასევე, Farrell 2001, Lijphart 1994 ნაშრომები.

¹⁶ Reeve A. and Ware A., დასახელებული ნაშრომი, Chapter 3, pp. 64, ასევე, Blais and Massicotte 2002, Bogdanor 1983 ნაშრომები.

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემები

კლასიკურად მაჟორიტარული სისტემით არჩევნები, როგორც წესი, ერთმანდატიან ოლქებში ტარდება, სადაც ამომრჩეველს ერთი ხმა აქვს. ასეთი სისტემებისთვის დამახასიათებელია ბიულეტენი ინდივიდების (კანდიდატები) ჩამონათვალით, საიდანაც არჩევანს მოქალაქე აკეთებს. მანდატს მოიპოვებს ის, ვინც ოლქში საუკეთესო შედეგს აჩვენებს. შესაბამისად, ხმების მანდატში ასახვა ემყარება ოლქში ამომრჩეველთა უმრავლესობის მიერ კანდიდატის მხარდაჭერის პრინციპს. თუმცა, სხვადასხვა მოდელში განსხვავებულია უმრავლესობისა და საუკეთესო შედეგის განმარტება. მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს ქვედა, თემთა პალატის წევრები მაჟორიტარული წესით, ფარდობითი უმრავლესობის საფუძველზე აირჩევიან.¹⁷ მსგავსი სისტემები გამოირიცხავს მეორე ტურის ჩატარებას და გამარჯვებულად იმ პირს აცხადებს, რომელმაც ოლქში სხვებზე მეტი ხმა დააგროვა.¹⁸ ამ წესს საფუძვლად უდევს „ფინიშთან პირველი მისული“ (First-Past-the-Post) და „გამარჯვებულს მიაქვს ყველაფერი“ (Winner-Takes-All) პრინციპები.¹⁹ განსხვავებულ უმრავლესობას ითვალისწინებს საფრანგეთის კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც, ერთმანდატიან ოლქში გამარჯვებულად ჩაითვლება ის, ვინც ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას (50%+1), თუმცა, ოლქზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 25%-ის მხარდაჭერას მოიპოვებს.²⁰ იმ შემთხვევაში, თუ ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას ვერაზინ მიიღებს, დაინიშნება მეორე ტური (Two-Round-System).²¹

მაჟორიტარული სისტემით არჩევნები უმეტესად ერთმანდატიან ოლქებში იმართება, თუმცა, ის არც მრავალმანდატიან ოლქებს გამოირიცხავს. ოლქის სიდიდისა და მანდატების რაოდენობის შესაბამისად იცვლება ბიულეტენის სტრუქტურაც, თუმცა, საარჩევნო ფორმულა იგივე რჩება - ხმები მანდატებში უმრავლესობის პრინციპით გარდაისახება. ასეთი მოდელების მაგალითია რამდენიმე არაგადაცემადი ხმის (Multiple Non-Transferable Vote), იგივე ბლოკური კენჭისყრის (Block Vote) სისტემები.²² აქ საარჩევნო ოლქი ყოველთვის მრავალმანდატიანია.

ბლოკური კენჭისყრის სისტემაში მოქალაქეს იმდენივე ხმა აქვს, რამდენი მანდატიც არის ოლქში, თუმცა, კუმულაციური ხმის მიცემის მოდელისგან (Cumulative Voting,

¹⁷ Voting systems in the UK, გაერთიანებული სამეფოს თემთა პალატის ოფიციალური გვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bdtL9f>, განახლებულია: 04.05.2020.

¹⁸ Reynolds A., Reilly B. and Ellis A., დასახელებული ნაშრომი, Chapter 3, §76.

¹⁹ იქვე, §77.

²⁰ საფრანგეთის საარჩევნო კოდექსი, მე-2 თავი, მე-2 ქვეთავი, 126-ე მუხლი, საფრანგეთის საკანონმდებლო ბაზა, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2WfTNo1>, განახლებულია: 04.05.2020.

²¹ იქვე.

²² Leduc L., Niemi R. and Norris P., დასახელებული ნაშრომი, Chapter 2, pp. 27.

CV)²³ განსხვავებით, მას არ შეუძლია ერთსა და იმავე კანდიდატს ერთზე მეტი ხმა მისცეს მაშინ, როდესაც ერთ პარტიას უფლება აქვს, წარადგინოს იმდენი კანდიდატი, რამდენი მანდატიც ოლქზეა გათვალისწინებული.²⁴ როგორც წესი, ამომრჩეველს შეუძლია, თავი შეიკავოს ყველა ხმის გამოყენებისგან.²⁵ ხმის მიცემის კუმულაციური მეთოდი დღესდღეობით მხოლოდ ამერიკის რამდენიმე შტატშია შემორჩენილი.²⁶ ბლოკური კენჭისყრის მოდელი ისეთ ქვეყნებში გამოიყენება, სადაც სუსტად ან თითქმის არ არის განვითარებული პოლიტიკური პარტიები.²⁷ 2020 წლის მონაცემებით, მას ეროვნულ დონეზე იყენებენ ტუვალუ და ტონგა.²⁸

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ მრავალმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემაში ბიულეტენის სტრუქტურა არა კანდიდატებისგან, არამედ პარტიებისგან შედგება.²⁹ მაგალითად, ბლოკური (Party Block Vote, PBV) კენჭისყრის მოდელში, რომელიც მრავალმანდატიან ოლქში ტარდება, მოქალაქეს ერთი ხმა აქვს და მას არა კანდიდატს, არამედ პოლიტიკურ გაერთიანებას აძლევს.³⁰ გამარჯვებული პარტია, რომელიც ხმათა ფარდობით უმრავლესობას მოიპოვებს, ოლქზე არსებულ ყველა მანდატს მიიღებს.³¹ ეს მოდელი მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოშია შემორჩენილი, მათ შორის, ჩადში.³²

ზემოხსენებულთაგან განსხვავდება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის კიდევ ერთი მოდელი - ალტერნატიული ვოტუმი (Alternative Vote). აქ ოლქები ერთმანდატიანია, თუმცა, უბანზე ამომრჩეველს კანდიდატების რანჟირების შესაძლებლობა აქვს.³³ ალტერნატიული ვოტუმი პრეფერენციულ საარჩევნო სისტემათა ტიპს განეკუთვნება, სადაც მოქალაქე შესაბამისი ციფრების მინიჭებით, უპირატესობის მიხედვით ნიშნავს კანდიდატებს.³⁴ მაგალითად, თუ ბიულეტენში 5 სუბიექტია, მოქალაქე 1-დან 5-მდე ციფრების მითითებით პრიორიტეტულად დააღაგებს შემოთავაზებულ კანდიდატებს. ამ მოდელში მანდატი მოიპოვება აბსოლუტური უმრავლესობის პრინციპით. შესაბამისად, წარმომადგენლობით ორგანოში ადგილს მიიღებს ის, ვინც ყველაზე მეტი ამომრჩევლის ბიულეტენში იქნება პირველი.³⁵ იმ შემთხვევაში, თუ ხმათა დათვლის შედეგად გამარჯვებული ვერ გამოვლინდება, არჩევნებს გამოეთიშება ყველაზე ცუდი შედეგის მქონე

²³ ხმის მიცემის ისეთი სისტემა, სადაც მრავალმანდატიან ოლქში ამომრჩეველს იმდენი ხმა აქვს, რამდენი მანდატიცაა ოლქში და არსებული ხმების მიცემა შეუძლია როგორც მხოლოდ ერთი, ასევე ყველა კანდიდატისთვის.

²⁴ Reynolds A., Reilly B. and Ellis A., დასახელებული ნაშრომი, Chapter 3, §80.

²⁵ იქვე.

²⁶ Leduc L., Niemi R. and Norris P., დასახელებული ნაშრომი, Chapter 2, pp. 243, §6.

²⁷ Reynolds A., Reilly B. and Ellis A., დასახელებული ნაშრომი, Chapter 3, §81.

²⁸ იქვე.

²⁹ იქვე, §86.

³⁰ იქვე.

³¹ იქვე.

³² იქვე.

³³ Leduc, L., Niemi, R. and Norris, P., დასახელებული ნაშრომი, Chapter 2, pp.28.

³⁴ იქვე, pp. 29.

³⁵ იქვე.

პრეტენდენტი და მისი ხმები გადანაწილდება მე-2, მე-3 და ა.შ. პრიორიტეტების მიხედვით სხვა კანდიდატებზე მანამ, სანამ აბსოლუტური უმრავლესობის მქონე პირი არ გამოვლინდება.³⁶ ასეთი სისტემით ტარდება არჩევნები ავსტრალიის საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატაში.³⁷

მიუხედავად მაჟორიტარული მოდელებისთვის დამახასიათებელი განსხვავებებისა, თითოეულ შემთხვევაში გამარჯვებული მარტივი პრინციპის მიხედვით გამოვლინდება - მანდატს მიიღებს ის კანდიდატი ან პარტია, რომელმაც არჩევნებში ხმათა უმრავლესობა მოიპოვა.

პროპორციული საარჩევნო სისტემები

მაჟორიტარულიდან განსხვავებით, პროპორციული საარჩევნო სისტემის მახასიათებელია მრავალმანდატიანი ოლქები, სადაც თითოეული ამომრჩეველი ბიულეტენიდან ირჩევს ერთ სუბიექტს. ხშირად ეს სუბიექტი პარტიაა, თუმცა, არ გამოირიცხება ნების გამოხატვის სხვა ფორმისა და ბიულეტენში ინდივიდუალური კანდიდატების არსებობა.

ამ სისტემის მთავარი პრინციპია პარტიის მიერ მიღებული ხმების წილის ავტომატური ასახვა საკანონმდებლო ორგანოში არსებული მანდატების შესაბამის პროპორციაზე,³⁸ ანუ სუბიექტი წარმოდგენილია იმ შედეგის თანაფარდად, რომელიც მან არჩევნებზე დააფიქსირა. პროპორციული საარჩევნო სისტემა ორ ძირითად მოდელს აერთიანებს - სიით პროპორციული წარმომადგენლობა (Party List Proportional Representation) და ერთი გადაცემადი ხმა (Single Transferable Vote, STV).³⁹

როგორც აღინიშნა, ამ სისტემებში ყველაზე ხშირად ბიულეტენში პარტიული სიებია შეტანილი.⁴⁰ ამომრჩეველი ხმას აძლევს სასურველ სუბიექტს, რომელიც მიღებული მხარდაჭერის შესაბამისად მოიპოვებს მანდატებს საკუთარი სიის წევრებისთვის.⁴¹ იმის მიხედვით, თუ რა პრინციპს ემყარება სიებში პოტენციურ დეპუტატთა განლაგება და ამომრჩევლის მიერ ნების გამოვლენა, განასხვავებენ ღია, დახურულ და თავისუფალ პარტიულ სიებს.⁴²

³⁶ იქვე.

³⁷ The Alternative Vote in Australia, The Electoral Knowledge Network, ხელმისაწვდომია: https://aceproject.org/main/english/es/esy_au.htm, განახლებულია: 04.05.2020.

³⁸ Reynolds A., Reilly B. and Ellis A., დასახელებული ნაშრომი, Chapter 3, pp. 57-100.

³⁹ Leduc L., Niemi R. and Norris P., დასახელებული ნაშრომი, Chapter 2, pp. 29.

⁴⁰ Reynolds A., Reilly B. and Ellis A., დასახელებული ნაშრომი, Chapter 3, §106.

⁴¹ იქვე, §122.

⁴² იქვე.

დია პარტიული სიის შემთხვევაში ამომრჩეველს შეუძლია, მხარდაჭერა გამოუცხადოს როგორც მთლიანად პარტიას ან ჯგუფს, ასევე, მის სიაში შემავალ ერთ ან რამდენიმე კანდიდატს.⁴³ მაგალითად, შვედეთში მოქალაქეს შეუძლია, მხარი დაუჭიროს როგორც პოლიტიკურ გაერთიანებას, ისე მის ცალკეულ წევრებს. თუმცა, მხოლოდ 25% შემთხვევაში ირჩევს ამომრჩეველი კონკრეტულ კანდიდატს და ხმის მიცემას პარტიისთვის ამჯობინებს.⁴⁴

პროპორციული სისტემებისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია დახურული სიები, კერძოდ, სუბიექტი ამომრჩეველს სთავაზობს კონკრეტულ, რანჟირებულ სიას. ასეთ მოდელში მოქალაქე მოკლებულია შესაძლებლობას, პრიორიტეტი მიანიჭოს სიაში შემავალ რომელიმე კანდიდატს და ის სრულად პარტიის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.⁴⁵ ხმის მიცემის დროს იგი შემოხაზავს კონკრეტულ პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელსაც მხარს უჭერს.⁴⁶ ამ მოდელით ატარებს საპარლამენტო არჩევნების პროპორციულ ნაწილს საქართველოც.⁴⁷

თავისუფალი სიები, იგივე პანაშაჟი (Panachage),⁴⁸ ამომრჩეველს საშუალებას აძლევს, კონკრეტული პარტიის მხარდაჭერის მიუხედავად, დამატებით, სხვა სუბიექტის მიერ წარმოდგენილი სიიდანაც მისცეს კანდიდატს ხმა.⁴⁹ ესპანეთის საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატის, სენატის არჩევნები ამ კონცეფციას იზიარებს.⁵⁰

პროპორციული საარჩევნო სისტემის მეორე გავრცელებული მოდელია ერთი გადაცემადი ხმის სისტემა, რომელიც ალტერნატიულ ვოტუმს ჰგავს, თუმცა, მისგან განსხვავდება საარჩევნო ფორმულით.⁵¹ თუ პირველის შემთხვევაში შედეგების დათვლა ერთი, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის მქონე კანდიდატის გამოვლენამდე გრძელდება, STV-ში ამომრჩეველთა მიერ მინიჭებული უპირატესობის დათვლა მიმდინარეობს მანამ, სანამ დადგენილ კვოტას⁵² მრავალმანდატიან ოლქზე არსებული მანდატების რაოდენობის შესაბამისი კანდიდატები არ გადალახავენ.⁵³ აღნიშნული მოდელის პრინციპი უპირატესობას არ ანიჭებს

⁴³ იქვე, §124.

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ იქვე, §123.

⁴⁶ იქვე.

⁴⁷ საქართველოს 2018 წლის 23 მარტის კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, მე-11 თავი, მე-2 მუხლი, მე-9 ნაწილი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2YvgdDb>, განახლებულია: 04.05.2020.

⁴⁸ Viola. M.D., Routledge Handbook of European Elections, New York, NY., USA 2016, pp. 195.

⁴⁹ Reynolds A., Reilly B. and Ellis A., დასახელებული ნაშრომი, Chapter 3, §125.

⁵⁰ ხალხის წარმომადგენლობის ინსტიტუციური აქტი, მე-2 ნაწილი, მე-3 თავი, მე-3 ქვეთავი, 172-ე მუხლი, მე-3 ნაწილი, d ქვეპუნქტი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Wfj6q4>, განახლებულია: 04.05.2020.

⁵¹ იქვე, pp. 30.

⁵² კვოტა გამოითვლება დრუპის პრინციპით, რომლის მიხედვითაც, კანდიდატმა უნდა მიიღოს ამომრჩეველთა იმაზე ერთი მთელი ხმით მეტი, ვიდრე მიიღება საერთო ხმების ერთი ერთეულით გაზრდილი მანდატების რაოდენობაზე გაყოფით.

⁵³ Leduc L., Niemi R. and Norris P., დასახელებული ნაშრომი, Chapter 2, pp. 30.

უმრავლესობის არჩევანს და გამარჯვებულად აცხადებს იმ კანდიდატს ან პარტიას, რომელმაც დაწესებული ზღვარი გადალახა. STV სისტემა განსაკუთრებით პოპულარული იყო მე-19 საუკუნეში ბრიტანეთსა და მის კოლონიებში. თუმცა, დღესდღეობით ერთი გადაცემადი ხმის მოდელით მხოლოდ ირლანდიის რესპუბლიკის ქვედა პალატასა და შოტლანდიის ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობით ორგანოებს ირჩევენ.⁵⁴

„სხვა“ საარჩევნო სისტემები

ამ ოჯახს, ძირითადად, ის საარჩევნო მოდელები განეკუთვნება, რომლებიც უფრო პროპორციული (ნახევრადპროპორციული) ან უფრო მაჟორიტარული (ნახევრადმაჟორიტარული) პრინციპებისკენ გადაიხრება.

პირველის მაგალითია ერთი არაგადაცემადი ხმის მოდელი (Single Non-Transferable Vote, SNTV), რომელიც სულ რამდენიმე ქვეყანაშია შემორჩენილი, გამოიყენებოდა იაპონიის საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატის არჩევნებში მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში.⁵⁵ აღნიშნული სისტემის სტრუქტურა ერთი გადაცემადი ხმის იდენტურია, სადაც ოლქები მრავალმანდატიანია, პარტიები იმდენ კანდიდატს წარადგენენ, რამდენი მანდატიცაა ოლქზე, ამომრჩეველს კი, ერთი ხმა აქვს.⁵⁶ თუმცა, აქ ხმის გადაცემა დაუშვებელია, რაც ზრდის პარტიების შიდა კონკურენციას და მანიპულაციის საშუალებას იძლევა.⁵⁷ ამ მახასიათებლებიდან გამომდინარე, SNTV სისტემა მკაცრად შეზღუდული არჩევანის (Strictly Limited Vote) სახელითაც არის ცნობილი და კლასიფიცირებულია, როგორც ნახევრადპროპორციული სისტემა, რადგან უზრუნველყოფს დამოუკიდებელი კანდიდატებისა და უმცირესობის წარმომადგენლობითობას. შესაბამისად, რაც უფრო მეტია ოლქზე მანდატების რაოდენობა, მით უფრო პროპორციულია სისტემა.⁵⁸ მაგალითად, თუ ოთხმანდატიან ოლქში ერთი პარტიის მიერ დასახელებული ორი კანდიდატი ჯამურად 50%-იან მხარდაჭერას დააგროვებს, ორივე მათგანი მანდატს მხოლოდ ამ მხარდაჭერის თანაბრად განაწილების შემთხვევაში მოიპოვებს. სხვაგვარად, იმის შანსი, რომ ერთი სუბიექტის ორი კანდიდატიდან მანდატი მიიღოს მეორემ, რომლის ინდივიდუალური მხარდაჭერაც ნაკლებია, მინიმალურია.⁵⁹ ასეთი საარჩევნო სისტემა ერთი პოლიტიკური გაერთიანების კანდიდატებს შორის ხმების გაყოფას იწვევს და უშვებს, რომ წარმომადგენლობით ორგანოში შევიდეს ის, ვისაც უმრავლესობის მხარდაჭერა არ მოუპოვებია, მაგრამ ხმების გადანაწილების გამო

⁵⁴ Reynolds A., Reilly B. and Ellis A., დასახელებული ნაშრომი, Case Study: The Republic of Ireland, pp. 72.

⁵⁵ იქვე, Case Study: Japan, pp. 114.

⁵⁶ იქვე, §139.

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ იქვე, §140.

⁵⁹ იქვე, §139.

მანდატი „შეხვდა“. SNTV სისტემით არჩევნები სამ სახელმწიფოში - ავღანეთში, იორდანიაში და ვანუატუში შემორჩენილი.⁶⁰

მსგავს პრინციპებს ეფუძნება შეზღუდული არჩევანის (Limited Vote) მოდელიც. ეს სისტემა 1977 წლიდან გამოიყენება ესპანეთის საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატის, სენატის დასაკომპლექტებლად.⁶¹ ამ მოდელში, ერთი არაგადაცემადი ხმის სისტემისგან განსხვავებით, მოქალაქეს რამდენიმე პირის არჩევა შეუძლია, თუმცა, ოლქზე ხმების რაოდენობა მანდატებზე ნაკლებია.⁶² აღსანიშნავია, რომ ესპანეთის სენატის არჩევნებში, ნებისმიერ პროვინციულ ოლქზე,⁶³ მიუხედავად მისი პარამეტრებისა, მანდატების რაოდენობა ოთხია,⁶⁴ ამომრჩეველს კი სამი ხმის დაფიქსირება შეუძლია.⁶⁵ ბიულეტენის სტრუქტურა სუბიექტების მიერ წარმოდგენილ ოთხკაციან ღია სიას მოიცავს და მოქალაქე თავის ხმას კონკრეტულ კანდიდატს აძლევს.⁶⁶ დაშვებულია პანაშაჟი (Panachage), ანუ ამომრჩეველს საშუალება აქვს, სამი ხმა სხვადასხვა სიის კანდიდატებს შორის გადაანაწილოს.⁶⁷

ეს მოდელი ასევე გვხვდება გიბრალტარში, რაც, ისტორიულად, ესპანური გავლენების შედეგია.⁶⁸ გიბრალტარის პარლამენტი 17 წევრისგან შედგება და ერთოლქიან არჩევნებში მოქალაქე არაუმეტეს 10 სასურველ კანდიდატს ირჩევს წარმოდგენილი სიებიდან.⁶⁹ როგორც წესი, გამარჯვებული პარტია 10 მანდატს იღებს, ოპოზიცია კი - 7-ს.⁷⁰ SNTV-სა და „შეზღუდული არჩევანის“ მოდელებში მიღებული ხმების გარდასახვა მანდატებში უფრო პროპორციულობის პრინციპს ეფუძნება. ხმათა უმრავლესობის მქონე კანდიდატს, ოლქზე არსებული მანდატების რაოდენობის ფარგლებში, სხვა კანდიდატებთან შედარებით, რომლებმაც ასევე მოიპოვეს მანდატი, უპირატესობა არ აქვს. ამიტომ მიიჩნევა, რომ აღნიშნული სისტემები ნახევრადპროპორციულია.

⁶⁰ იქვე, pp. 166-173.

⁶¹ Leduc L., Niemi R. and Norris P., დასახელებული ნაშრომი, Chapter 2, pp. 27.

⁶² Reynolds A., Reilly B. and Ellis A., დასახელებული ნაშრომი, §142.

⁶³ ესპანეთის კონსტიტუციის მიხედვით, გამოყოფენ ოლქის ორ სახეს - პროვინციულსა და კუნძულოვანს. პროვინციული ოლქები განლაგებულია ესპანეთის ნახევარკუნძულოვან ტერიტორიაზე და თითოეული მათგანი ოთხ მანდატს აერთიანებს. კუნძულოვან ოლქებზე მანდატების განაწილება მოსახლეობის მიხედვით განისაზღვრება და სამ ან ორ მანდატში აისახება.

⁶⁴ ესპანეთის კონსტიტუცია, მე-2 თავი, 69-ე მუხლი, მე-2 ნაწილი. ხელმისაწვდომია: http://www.juntaelectoralcentral.es/cs/jec/documentos/CONSTITUCION_ENG, განახლებულია: 04.05.2020.

⁶⁵ ხალხის წარმომადგენლობის ინსტიტუციური აქტი, მე-2 ნაწილი, მე-3 თავი, 166-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი, ა ქვეპუნქტი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2YLDOzU>, განახლებულია: 04.05.2020.

⁶⁶ ხალხის წარმომადგენლობის ინსტიტუციური აქტი, 1-ლი ნაწილი, მე-6 თავი, მე-2 ქვეთავი, 46-ე მუხლი, მე-7 ნაწილი.

⁶⁷ ხალხის წარმომადგენლობის ინსტიტუციური აქტი, მე-2 ნაწილი, მე-3 თავი, მე-3 ქვეთავი, 172-ე მუხლი, მე-3 ნაწილი, d ქვეპუნქტი.

⁶⁸ Reynolds A., Reilly B. and Ellis A., დასახელებული ნაშრომი, §142.

⁶⁹ GENERAL ELECTION, 2015 GENERAL INFORMATION, გიბრალტარის საარჩევნო ცნობარი, pp. 5-6.

ხელმისაწვდომია: https://www.parliament.gi/images/general_election_2015/general_information.pdf, განახლებულია: 04.05.2020.

⁷⁰ იქვე.

შერეული საარჩევნო სისტემები

კიდევ ერთი ოჯახი, შერეული საარჩევნო სისტემები, ფართო განმარტებით, მოიაზრებენ ამომრჩევლის ხმათა მანდატებში გარდასახვას ორი - პროპორციული და მაჟორიტარული წესით, სადაც პირველი გულისხმობს წარმომადგენლობითობის, ხოლო მეორე - უმრავლესობის პრინციპის დაცვას.⁷¹ გავრცელებულია შერეული საარჩევნო სისტემების სხვადასხვა მოდელი, თუმცა, ის ქვეყნები, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს ამ წესით აკომპლექტებენ, როგორც წესი, ბიკამერულია, ხასიათდება მრავალდონიანი საარჩევნო სისტემით და წარმომადგენლობითობის დაბალანსებას ემსახურება.⁷² მათში მრავალდონიანობა უკავშირდება წარმომადგენლობითობას. ამომრჩეველი ნებას ორ ეტაპად ავლენს - ერთი მხრივ, ხმას აძლევს ნომინალური სიიდან სასურველ კანდიდატს, მეორე ბიულეტენით კი - სასურველ პარტიას. შესაბამისად, წარმომადგენელს ორ დონეზე ირჩევს.

ასეთ სისტემებს განეკუთვნება არჩევნების პარალელური (იგივე Mixed Member Majoritarian, MMM) და შერეული პროპორციული (Mixed Member Proportional Representation, MMP) მოდელები. ორივე შემთხვევაში ამომრჩეველი ხმას აძლევს ორი ბიულეტენის მეშვეობით. თუმცა, პარალელური სისტემა ერთმანეთისგან სრულად მიჯნავს მაჟორიტარული და პროპორციული წესით მიღებულ შედეგებს, ისინი არ არიან კორელაციაში და რეზულტატიც დამოუკიდებლად აისახება შესაბამის ორგანოში.⁷³ ასეთ მოდელს წარმოადგენს საქართველოს მოქმედი საარჩევნო სისტემა.

MMP სისტემის შემთხვევაში სხვადასხვა პრინციპით მიღებული შედეგები ერთმანეთზე აისახება და მის პროპორციულობას უზრუნველყოფს.⁷⁴ ასეთი მოდელის ინდივიდუალური სახესხვაობაა გერმანიისა და უნგრეთის საარჩევნო სისტემები, სადაც მაჟორიტარული და პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგები ერთმანეთს იმგვარად აბალანსებს, რომ ამომრჩევლის ნება წარმომადგენლობითობის პრინციპით გარდაისახება მიღებულ მანდატებში.⁷⁵

მრავალდონიანობა მხოლოდ შერეული საარჩევნო სისტემების კრიტერიუმი არ არის და ის ხშირად პროპორციულ სისტემებშიც გვხვდება.⁷⁶ განურჩევლად ყველა შერეულ სისტემაში დაცულია პრინციპი, რომ მანდატი ერგება კანდიდატს,

⁷¹ Schugart S.M. and Wattenberg P.M., *Mixed-Member Electoral Systems - The Best of Both Worlds?* Oxford, UK 2001, Chapter 1, pp. 11.

⁷² იქვე, pp. 10.

⁷³ იქვე.

⁷⁴ იქვე.

⁷⁵ Leduc L., Niemi R. and Norris P., *დასახელებული ნაშრომი*, Chapter 2, pp. 31.

⁷⁶ მაგალითად, ჰოლანდიის საარჩევნო სისტემა, სადაც სისტემა პროპორციულია, თუმცა, არჩევნების სტრუქტურა - ორდონიანი და რეგიონულ წარმომადგენლობას ითვალისწინებს.

რომელმაც სახელობითი ბიულეტენით (Nominal List) ჩატარებულ არჩევნებში უმრავლესობის მხარდაჭერა მოიპოვა.⁷⁷

დასკვნა

დიუვერჟეს კანონის თანახმად, ერთმანდატიანი ოლქი, ერთი ბიულეტენი და მარტივი უმრავლესობა ხელს უწყობს ორპარტიულ სისტემას, ხოლო ორი ბიულეტენი, მარტივი უმრავლესობა და პროპორციული წარმომადგენლობა მრავალპარტიულობას აყალიბებს.⁷⁸ კიდევ ერთხელ მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ მათ შორის მთავარი განმასხვავებელი ნიშანია ის წესი, რომლითაც ხმები საპარლამენტო მანდატებში გარდაისახება. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა უმრავლესობის ნების გამარჯვების პრინციპს ეყრდნობა, პროპორციული არჩევნები კი, გამარჯვებას შედეგების შესაბამისად უნაწილებს ყველა იმ სუბიექტს, რომელმაც კანონმდებლობით დაწესებული შეზღუდვები გადალახა. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემები, ძირითადად, ორპარტიული ურთიერთკონტროლის ფარგლებში, უმრავლესობის მმართველობის ეფექტიანობას აღიარებს, ხოლო პროპორციული საარჩევნო სისტემები საკანონმდებლო ორგანოში პარტიულ პლურალიზმს უზრუნველყოფს, სადაც კონსენსუსი გადაწყვეტილების მიღების ძირითადი წინაპირობაა.

⁷⁷ Schugart S.M. and Wattenberg P.M., დასახელებული ნაშრომი, Chapter 1, pp. 11.

⁷⁸ Grofman B., Blais A. and Bowler S., Duverger's Law of Plurality Voting: The Logic of Party Competition in Canada, India, the United Kingdom and the United States. New York, USA, 2009, Chapter 1, pp. 1-2.